

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი :** სრული პროფესორი ირმა რატიანი

**სამაგისტრო პროგრამის ანალოგი:**

გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში მუშაობს ანალოგიური ტიპის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი მანფრედ შმელინგი. პროფესორი შმელინგი გამოთქვამს მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

**მიზნები:** სამაგისტრო პროგრამა – «ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა» – თავისი არსითა და დანიშნულებით მულტიმეთოდოლოგიური და ინტერდისციპლინარულია. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ძირითად მიმართულებებს ინტერკულტურული და კულტურათაშორისი კვლევები წარმოადგენს. ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა დაეხმარება მაგისტრანტს კვლევის აღნიშნული მიმართულებებისათვის საჭირო საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შექმნაში. მხოლოდ კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებში დაოსტატებულ პროფესიონალს შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს ახალი სტანდარტები და, რაც არსებითია, ხელი შეუწყოს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ჩართვას მსოფლიო ფილოლოგიურ დიალოგში.

სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და სურთ, გააღრმავონ პროფესიული ცოდნა ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით, ან შეიცვალონ სპეციალობა და აიმაღლონ შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის მიზანი სწორედ ამ პროფილის ფილოლოგების მომზადებაა.

პროგრამაში ჩართულია რიგი სასწავლო კურსებისა, რომლებმაც ერთი მხრივ, უნდა შეავსონ და განავრცონ საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნა, ხოლო, მეორე მხრივ, მოამზადონ მაგისტრატურის სტუდენტები შედარებით რთული სასწავლო კურსების დასაძლევად.

პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნას სასწავლო კურსების ლოგიკური ურთიერთკავშირი, რომელზეც აგებულია მათი სემესტრული პრინციპი. ერთმანეთთან შინაარსობრივად დაკავშირებული სავალდებულო სასწავლო კურსები ქმნიან შემდეგ ბლოკებს: 1. პოეტიკა, რიტორიკა, სტილისტიკა / ჟანრის პოეტიკა / ქართული ლექსის პოეტიკა; 2. XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები / ტექსტის კვლევის ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული მეთოდოლოგიები (მეორე წარმოდგენს პირველის ლოგიკურ გაგრძელებას)

/შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (ლიტერატურული კომპარატივისტიკა); 3. ავტოროლოგია / ნარატოლოგია / ქრონოტოპის თეორია; არჩევითი საგნები დალაგებულია ამავე პრინციპით.

ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაგისტრანტები ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის
- საშუალება მისცეს სტუდენტს, გაიაზროს მხატვრული ტექსტი სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდების – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა – მეშვეობით. დაეხმაროს სტუდენტს, ღრმად ჩაწვდეს კრიტიკული თეორიის არსს, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში.
- საშუალება მისცეს სტუდენტს, შეისწავლოს ლიტერატურა ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში და ასახოს მისი ინდივიდუალური ინტერესი საკუთარი კვლევისას ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებაში. ეს დისციპლინებია: ქართული ლიტერატურის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და სხვა.
- გააცნოს სტუდენტებს ძირითადი საკითხები/პრობლემები თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიულ მსჯელობებთან დაკავშირებით, გაარკვიოს ისინი კონკრეტულ ინტელექტუალურ ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში.
- მიმართოს სტუდენტის ინტერესი თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების ათვისებისაკენ, რომელიც მოიცავს ნარატოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნისტულ აზროვნებას, სემიოტიკას, ფსიქანალიზს, რეცეფციულ ესთეტიკას და სხვა. თეორიული ასპექტების შესწავლისას ყურადღების გაუმახვილოს ისტორიულ ფაქტორზეც, რაც, შესაბამისად, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, გაიგონ, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე კონკრეტული ცნების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური მსჯელობების გავლენით. სტუდენტებს შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზე ანტიკური და შუასაუკუნეებიდან მოყოლებული პოსტმოდერნიზმამდე.
- მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერკულტურული კვლევებისადმი, დაეხმაროს ლიტერატურის როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმის მასშტაბურად გააზრებაში;
- პროგრამის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს ე.წ. მესამე კომპონენტი. მესამე კომპონენტი საშუალებას აძლევს სტუდენტს, ერთად მოუყაროს თავი მის თეორიულ, ისტორიულ და დისციპლინურ ინტერესს, რათა დასახოს თავისი კვლევის კონკრეტული მიზანი. განსაკუთრებული სფერო შეიძლება მოიცავდეს მეორე ლინგვისტურ/ლიტერატურული ტრადიციის შესწავლას, სპეციალურ ლიტერატურულ-ისტორიულ სფეროს, ლიტერატურულ მიმართულებას თუ ჟანრს, დისციპლინასთან დაკავშირებულ საგანს ან პროდუქციის სფეროს (მაგ:

ფილმი, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ლინგვისტიკა), სხვა ნებისმიერ, უკვე კარგად განსაზღვრულ, სწავლების სფეროს (მაგ: შუასაუკუნეების შესწავლა, თანამედროვე ევროპული ინტელექტუალური ისტორია, პოპულარული კულტურა, ხელოვნების ისტორია). ამ საგნებში საკითხავი ლიტერატურა შექმნის სათანადო კონტექსტს და, შემდგომში, დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო თემაზე მუშაობისას.

### შედეგები:

- სამაგისტრო პროგრამა – «ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა» – ორიენტირებულია ეფექტურ შედეგზე. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად, მაგისტრანტს უყალიბდება თანამედროვე ტიპის ფილოლოგისათვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები. ყოველი სასწავლო კურსის სწავლების შედეგი კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებაა (რაც დეტალურად არის ასახული კონკრეტული კურსების სილაბუსების ანოტაციებსა და შინაარსებში). მოსალოდნელი შედეგების ზოგადი სისტემა ამგვარია:

### ცოდნა და გაცნობიერება

1.1 აქვს დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის გამოყენებით და მომიჯნავე სფეროებში (ფასდება ტესტის მეშვეობით).

1.2 შეუძლია პრობლემის გააზრება და ანალიზი ინტერდისციპლინარულ კონტექსტში სხვადასხვა მეთოდების – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა – გამოყენებით (ფასდება ტესტისა და წერიტი პრეზენტაციის მეშვეობით).

1.3 აქვს ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირების უნარი (ფასდება ტესტისა და წერიტი პრეზენტაციის მეშვეობით).

1.4 აცნობიერებს დარგისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბება (ფასდება ტესტის მეშვეობით).

### ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

2.1 სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს. შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით; შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად, პროფესიულ დონეზე; შეუძლია რთულ და სპეციალიზებულ კონტექსტში ორიენტაცია, გარკვევა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (ფასდება ზეპირი პრეზენტაციის მეშვეობით).

2.2 ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, მუშაობს ზუსტად და ეფექტიანად (ფასდება ტესტის მეშვეობით);

2.3 შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების გამოყენება ყოველ კონკრეტულ ვითარებაში. ეძებს ამოცანების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს (ფასდება ტესტის მეშვეობით).

### **ზოგადი / ტრანსფერული უნარები**

3.1 გამომუშავებული აქვს **კოგნიტური უნარები**: კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და/ან წინააღმდეგობრივი მონაცემების/სფეროების ანალიზი და ანალიზის შედეგის ეფექტური დემონსტრირება. კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებითა და დარგობრივი სფეროს უახლესი მონაცემების გამოყენებით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი (ფასდება წერიტი პრეზენტაციის მეშვეობით).

3.2 გამომუშავებული აქვს საჭირო **მეთოდოლოგიური უნარები**: შეუძლია არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემები და მათი გადაჭრისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსის გამოყენება. დამოუკიდებლად გეგმავს დროს და ახორციელებს სამუშაოს (საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობს კიდევაც) საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

3.3 გამომუშავებული აქვს **ტექნოლოგიური უნარები**: იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში (ფასდება ტესტის მეშვეობით).

3.4 გამომუშავებული აქვს **ლინგვისტური უნარები**: შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია: ა) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; ბ) ფლობს მეორე ენას საუნივერსიტეტო დადგენილი სტანდარტის ფარგლებში (ფასდება ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის მეშვეობით).

3.5 ჩამოყალიბებული აქვს **სოციალური უნარები**: შეუძლია ჯგუფში ეფექტური მუშაობა როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში. შეუძლია ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება (ფასდება ტექნიკური ანგარიში მეშვეობით).

3.6 გამომუშავებული აქვს **სისტემური უნარები**: იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა. არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის დროს; შეუძლია სხვების სწავლის გაძლიერება; იჩენს ინიციატივას და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში (ფასდება ტექნიკური ანგარიში მეშვეობით).

### დასაქმების სფეროები:

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში (გარდა აკადემიური თანამდებობისა);
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;
- მუზეუმებში;
- საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში;
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად.

### სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდება საუნივერსიტეტო დადგენილი წესით.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- მაგისტრანტს მოეთხოვება უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის, ცოდნა საუნივერსიტეტო წესით განსაზღვრულ დონეზე.
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგში.
- მაგისტრატურაში ჩამბარებელს არ მოეთხოვება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში მონაწილეობის ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების შესახებ. ასეთი წინაპირობები მხოლოდ სასურველია და არა – სავალდებულო. ამგვარი გამოცდილების მქონე პიროვნებას უპირატესობა პროგრამაზე ჩაბარებისას მიენიჭება მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში.
- სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის.

### სწავლის გაგრძელების საშუალება:

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, შესაძლებლობა ექნება სწავლა განაგრძოს:

- საქართველოს უნივერსიტეტების დოქტორანტურაში ლიტერატურის თეორიის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ლექსმცოდნეობის, ქართული ლიტერატურის მიმართულებით;
- იმ დასავლური უნივერსიტეტების ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე, სადაც ფუნქციონირებს ანალოგიური პროფილის სამაგისტრო პროგრამები (ზაარლანდის უნივერსიტეტი, სორბონას უნივერსიტეტი, ათენის უნივერსიტეტი, ბარსელონას უნივერსიტეტი, ბერგამოს უნივერსიტეტი, პენსელვანიის უნივერსიტეტი).

### **კვლევითი კომპონენტი:**

სამეცნიერო თემატიკა:

1. ლიტერატურული მიმდინარეობანი: საზღვრები, კონცეპტები, კრიტერიუმები;
2. პოეტიკისა და თეორიული ეთიკის საკითხები;
3. ლიტერატურის ეროვნული სპეციფიკა \_ ისტორიული პოეტიკის საგანი;
4. ნარატივის ფორმები ტექსტში;
5. ქრონოტოპის თეორია და ლიტერატურული ჟანრის პრობლემა;
6. კარნავალური კულტურა და ტექსტის ინტერკულტურული ანალიზი;
7. ტექსტის ინტერდისციპლინარული ანალიზი ანთროპოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიის კონტექსტში;
8. მითოლოგიური კრიტიკა და თანამედროვე რომანისტიკა;
9. ავტორი, ტექსტი, მკითხველი;
10. ტექსტისა და ქვეტექსტის აზრობრივ-ესთეტიკური ფუნქციისათვის;
11. ხასიათთა კონფლიქტი ჟანრული მოდიფიკაციების კონტექსტში;
12. მოტივის, დეტალისა და შესტის კონცეპტუალურ-კომპოზიციური ფუნქცია ტექსტში;
13. ტრადიციული რეალიზმის ეპოქა (ადამიანის ისტორიული დანიშნულების ძიება);
14. XX საუკუნის ლიტერატურის თავისებურებანი (ნეომოდერნიზმის ეპოქა);
15. მასკულტურის ძირითადი მიმართულებანი XX საუკუნის ქართულ მწერლობაში;
16. ლექსის სემიოტიკური ანალიზი;
17. სონეტი \_ პოეზიის უნივერსალური ჟანრულ-სტროფული ფორმა;

### **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ დადგენილი საერთო წესით.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

მატერიალურ ტექნიკურ ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა; აგრეთვე, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის აუდიტორიები, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურული არქივი, კომპიუტერული ცენტრი.

**სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
<b>სავალდებულო საგნები</b>			
	პოეტიკა, რიტორიკა, სტილისტიკა	სავალდებულო	5
	ქანრის პოეტიკა	სავალდებულო	5
	ქართული ლექსის პოეტიკა	სავალდებულო	5
	ტექსტოლოგია	სავალდებულო	5
	XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები	სავალდებულო	5
	ავტოროლოგია	სავალდებულო	5
	ნარატოლოგია _თხრობის თეორია	სავალდებულო	5
	პრაქტიკული ტექსტოლოგია	სავალდებულო	10
	ტექსტის კვლევის ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მეთოდოლოგიები	სავალდებულო	5
	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა)	სავალდებულო	5
	ქრონოტოპის თეორია	სავალდებულო	5
<b>არჩევითი საგნები (30 კრედიტი)</b>			
	ერთი მწერლის პოეტიკა	არჩევითი	5
	სამეცნიერო-ლიტერატურული წერის კულტურა	არჩევითი	10
	ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში	არჩევითი	5
	თანამედროვე ქართული პროზის ძირითადი მიმართულებანი	არჩევითი	5

ჰომეროსი და რუსთაველი (ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ეპოსის კომპარატივისტული ანალიზი)	არჩევითი	5
მითის პოეტიკა	არჩევითი	5
თანამედროვე ქართული დრამატურგია	არჩევითი	5
<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	სავალდებულო	30
სულ		<b>120</b>

### საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში:

გამოცდა ჩატარდება წერითი სახით.

გამოცდა შეფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთში შედის 4 საკითხი, თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 25 ქულით.

გამოცდა შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პასუხის სისრულე -5
- მასალის ფლობა -5
- ლოგიკური მსჯელობა -5
- ორიგინალობა -5
- წერის კულტურა -5

### საგამოცდო საკითხები ლიტერატურის თეორიაში

1. ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერება და მისი შემადგენელი დისციპლინები;
2. სოკრატეს თხრობის თეორია;
3. არისტოტელეს ბაძვის თეორია;
4. ნაწარმოების თემა და იდეა ;
5. მხატვრული ნაწარმოების ფაბულა და სიუჟეტი ;
6. ლიტერატურული პერსონაჟი და ხასიათი;
7. მხატვრული ტექსტის კომპოზიცია;
8. მონოლოგი და დიალოგი;
9. პოეტური სტილისტიკა და მისი შემადგენელი ნაწილები;
10. ლიტერატურული გვარები და ჟანრები;
11. ჟანრის გააზრების სინქრონული და დიაქრონული თეორიები;
12. დიდი ეპიკური ჟანრები: ეპოსი, პოემა, რომანი;
13. საშუალო ეპიკური ჟანრები: მოთხრობა, ნოველა, ზღაპარი ;
14. მცირე ეპიკური ჟანრები: იგავ-არაკი, ესე, ოპუსი ;
15. ლირიკული ჟანრები: ოდა, ჰიმნი, ელეგია, სონეტი;
16. დრამატული ჟანრები: ტრაგედია, კომედია, საკუთრივ დრამა;

17. ადრეული შუა საუკუნეების ესთეტიკა - ჟანრები და თეორიული შეხედულებანი;
18. გვიანი შუასაუკუნეების ესთეტიკა - რაინდული რომანი;
19. რენესანსის ეპოქის ესთეტიკური აზროვნება - "ძველი" და "ახალი" ჟანრები;
20. კრიტიკის "იტალიური სკოლა";
21. კლასიციზმის ლიტერატურული მიმდინარეობა;
22. სენტიმენტალიზმის ლიტერატურული მიმდინარეობა;
23. რომანტიზმის ლიტერატურული მიმდინარეობა;
24. რეალიზმის ლიტერატურული მიმდინარეობა;
25. სიმბოლიზმი;

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს სრულ პროფესორ ირმა რატიანს ტელეფონზე: 234258